

## გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობა საქართველოში

განხორციელების ვადა: 06.06.2022 - 06.04.2025

### EaP ქვეყნები:

Georgia

ევროკავშირის € 2 302 500

წვლილი:

მთლიანი € 2 302 500

ბიუჯეტი:

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):

NIRAS International Consulting



სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:

### პროექტის

#### ვებსაიტები:

#### პროექტის აღწერა:

პროექტის მიზანია დახმარება გაუწიოს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის გაღრმავებაში, ასოციაციის ხელშეკრულებით და ასოციაციის დღის წესრიგით განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად. პროექტი მოიცავს (i) ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირებას, (ii) სამრეწველო დაბინძურების კონტროლს, (iii) ქვეყანაში იმ ტერიტორიების იდენტიფიცირება, სადაც ხდება ნიტრატებით მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების დაბინძურება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად, (iv) კლიმატის ნეიტრალიტეტის მიღწევა მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაში, (v) ტყის მდგრადი მართვის განვითარება, (vi) მდგრადი აკვაკულტურის განვითარების ხელშეწყობა, (vii) გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და (viii) გარემოსდაცვითი ეკონომიკის შესაძლებლობების განვითარება.

### მოსალოდნელი შედეგები:

პროექტი გამოყოფს სამ შედეგს, რომელთაგან თითოეული შემდეგნაირად იყოფა:

შედეგი მოიცავს: ჰაერისა და წყლის დაბინძურების შემცირების შედეგად ჯანმრთელობის, კლიმატის ცვლილების და გარემოს გაუმჯობესება.

შედეგი 1 - ჰაერის დაბინძურების შემცირების შედეგად მოსახლეობის ჯანმრთელობა უმჯობესდება (კომპონენტი 1)

შედეგი 2 - საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის გამოყენების შედეგად, სამრეწველო წარმოებიდან ემისიები შემცირდება (კომპონენტი 2)

შედეგი 3 - წყლის ობიექტების (წყალსაცავების) ნიტრატით დაბინძურების შემცირება, ზღვრული ნიშნულების ქვემოთ (კომპონენტი 3)

შედეგი მოიცავს: იქმნება და ძლიერდება ურთიერთთანამშრომლობა პროდუქტიულობასა და გარემოს დაცვას შორის

შედეგი 4 - სამშენებლო და სოფლის მეურნეობის სექტორებში NDC განხორციელების მხარდასაჭერად, შემუშავდა კონცეფცია, დეტალური პოლიტიკა და ნაბიჯები კლიმატის ნეიტრალიტეტის მისაღწევად (კომპონენტი 4)

შედეგი 5 - განხორციელდა ტყის მდგრადი მართვა, ბურმუხტის ქსელში წიფლის ჰაბიტატებზე ფოკუსირებით (კომპონენტი 5)